უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო, [rezokakhidze@mail.ru](mailto:rezokakhidze@mail.ru)

ფირფიტის ტიპის მრავალფენიანი თხელკედლიანი კონსტრუქციები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ავიამშენებლობაში, რაკეტების მშენებლობაში და ტექნიკის სხვა დარგებში. ყოველივე ეს კონსტრუქციების მაღალი სიმტკიცისა და მათი წონის საგრძნობი შემცირების აუცილებლობითაა გამოწვეული. ამ აუცილებელი თავისებურებების ერთობლიობა უზრუნველყოფილია მრავალფენიანი კონსტრუქციების ცალკეული ფენებისათვის სხვადასხვა შემავსებლების გამოყენებით. შემავსებლები და კომპოზიციური მასალები ხასიათდებიან ძვრის დაბალი სიხისტით, რაც მათი უარყოფითი თვისებაა [1, 2].

მოხსენებაში გადმოცემულია აღნიშნული პრობლემის, მრავალფენიანი ფირფიტოვანი კონსტრუქციის სიმტკიცის რიცხვითი ანალიზის მეთოდოლოგია.

**ლიტერატურა**

1. დუმბაძე, ა. კომპოზიციური ტანის მექანიკა. თბილისი: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, 2015. 292 გვ.
2. „...“

**შავი ზღვის შერეული ფენის თავისებურებების  
რიცხვითი კვლევა საქართველოს სანაპირო  
ზონისათვის**

დიანა კვარაცხელია\*, დემური დემეტრაშვილი\*\*  
\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი  
\*\*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [diana.kvaratskhelia@yahoo.com](mailto:diana.kvaratskhelia@yahoo.com)

ზღვებისა და ოკეანეების ზედა შერეული ფენა წარმოადგენს წყლის ერთერთ მნიშვნელოვან არეს, რომლის თერმოდინამიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მრავალ მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს ზღვა-ატმოსფერულ გარემოში. იგივეს თქმა შეიძლება შავი ზღვის ტურბულენტური შერეული ფენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კვლევის მთავარ საგანს.

ცნობილია, რომ შერეული ფენის სიღრმე ძირითადად განისაზღვრება წყლის თვისებების შეფასებებით: ტემპერატურისა და სიმკვრივის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შერეული ფენის სიღრმე და მისი ცვალებადობა შესწავლილია შავი ზღვის დინამიკის რიცხვითი მოდელის გამოყენებით, რომელიც შემუშავდა მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში (BSM-IG).

კვლევის მთავარ საგანს წარმოადგენს შავი ზღვის ზედა შერეული ფენის წარმოქმნის თავისებურებებისა და მისი ევოლუციის შესწავლა საქართველოს სანაპირო ზონისათვის არასტაციონარული ატმოსფერულ ცირკულაციასთან მიმართებაში და თერმოხალინური ზემოქმედების გათვალისწინებით შიდა წლიურ დროით მასშტაბებში. აგრეთვე, კვლევის მთავარ ასპექტს წარმოადგენს ვერტიკალური დიფუზიის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზეგავლენა შავი ზღვის ზედა ფენის ტემპერატურულ და მარილიანობის ველზე. ამასთანავე, ვერტიკალური დიფუზიის კოეფიციენტის სიბოლესა და მარილიანობისთვის ჩათვლილია მუდმივად და მისი პარამეტრიზება განხორციელდა ობზერვაციის მოდიფიცირებული ფორმულის მიხედვით.

**მალლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტ No. AR/373/9-120/12. მხარდაჭერით.

**მასის უწყვეტობის განზოგადოებული  
განტოლებად მისი შედეგები**

ვლადიმერ კირცხალია

ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ნაჩვენებია, რომ თანამედროვე თეორიაში არსებული მასის უწყვეტობის განტოლება, როელსაც იყენებენ ნებისმიერი გარემოსთვის, სამართლიანია მხოლოდ ერთგვაროვანი გარემოს შემთხვევაში და არაერთგვაროვანი გარემოსთვის საჭიროებს განზოგადებას. განზოგადობის შემდეგ განტოლებას მარჯვენა მხარეს ემატება წევრი, როელიც მნიშვნელში შეიცავს ბერის იზობარულ სინქარეს  $C_p$ . იგი წარმოადგენს გარემოს არაერთგვაროვნობის ზომას და მისი არსებობა სულ ახლახანს იქნა აღმოჩენილი. ამ სინქარის უსასრულობისკენ მისწრაფებისას განტოლება გადადის მასის უწყვეტობის დღეს ცნობილ განტოლებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ იდეალურად ერთგვაროვან გარემოში არსებობს ბგერის მხოლოდ ადიაბატური სინქარე  $C_s$ . ეს გარემოება ძირეულად ცვლის ისეთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების განმარტებას, როგორებიცაა გარემოს კუმშვადობა ან უკუმშვადობა. აღმოჩნდა, რომ ეს კრიტერიუმები, რომელთაც ქონდათ წმინდა მექანიკური აზრი, იძენენ თერმოდინამიკურ აზრს. ასე მაგალითად, თერმოდინამიკური თვალსაზრისით წყალი და რკინა გაცილებით უფრო კუმშვადი ნივთიერებებია, ვიდრე ჰაერი ატმოსფეროს ზედა ფენებში. გარდა ამისა, იცვლებიან ცნობილი აერო და ჰიდროდინამიკური თანაფარდობები.

**ელექტრომაგნიტური ტალღის გაბნევა T –ს მაგვარ  
სამკაპას რეზონატორულ ნაწილში მოთავსებულ  
ცილინდრზე, როდესაც მისი აღზნება ხდება  
სხვადასხვა მხრიდან**

ფირანი კობიაშვილი

თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს  
ეროვნული კომიტეტის წევრი.

თემის აქტუალობა განპირობებულია რადიოელექტრონული და კომუნიკაციური სისტემების განვითარების თანამედროვე ტენდენციებით, რომლებიც სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს უყენებს როგორც მთლიანად სისტემებს, ასევე მათ კონსტრუქციულ გადამცემ და მიმღებ ტრაქტებს ელემენტების ეფექტურობისა და ელექტრომაგნიტური თავსებადობის გაზრდის თვალსაზრისით.

განიხილება სწორკუთხა ტალღამტარების სეგმენტებისგან შედგენილი სამკაპას რეზონატორულ ნაწილში განთავსებული წრიული განივი კვეთის მქონე მეტალური ცილინდრის მკაცრი ელექტროდინამიკური თეორია, როდესაც სისტემის აღზნება ხდება განმშტოვების ნებისმიერი შტოს მხრიდან.

შემოტანილია ე.წ. კვების ლოგიკური მამრავლის ცნება, რომელიც მიგვანიშნებს ხდება თუ არა სისტემის კვება ფიქსირებული შტოს მხრიდან [2,4]. ჩაწერილია სრული ველის გამოსახულებები თითოეული არისათვის. თავდაპირველად რეზონატორულ ნაწილში ველი წარმოდგება უწყვეტი ველის სახით (რადგან ამ არისათვის უცნობია საკუთარი ტალღური რიცხვები). სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის ტანგენციალური მდგენელის უწყვეტობის პირობის გამოყენების შემდეგ ხდება ველის ჩაწერადისკრეტულ სპექტრად, ნაშთა თეორიის, ჟორდანის ლემის და კოშის თეორემის გამოყენებით [1,3]. ასეთი სახით ჩაწერილი ველისათვის მეტალურ ცილინდრზე სასახდერო პირობის რეალიზაციის შედეგად მიღებულ წრფივ ალგებრულ განტოლებათა უსასრულოდ დუალურ სისტემაში მატრიცული ელემენტებისა და თავისუფალი წევრების გამოსახულებებში მიიღება განშლად მწკრივთა ჯამი, ამიტომ საჭიროა ველის მიმართ გარკვეული მანიპულაციების ჩატარება, რაც ხერხდება რეზონატორულ ნაწილსა და გვერდით შტოებს შორის წარმო-

სახვით ზედაპირებზე ელექტრული ველის ტანგენციალური მდგენელის უწყვეტობის პირობის რეალიზაციის შედეგად.

**ლიტერატურა:**

1. S. L. Prosvirnin, L.N. Litvinenko, V. N. Kochin, G.V. Kekelia, P.G. Kobiashvili. The characteristics of the short vibrator loaded with disks. "Radiophysics and radio astronomy" Radio-astronomical institute NAN of the Ukraine.2011.
2. K.V.Kotetishvili, G.Sh. Kevanishvili, G.V.Kekelia, I.G.Kevanishvili, G.G.Chikhladze, and P.G.Kobiashvili . To the electrodynamic theory of an antenna grutings formed by the eqvidisnancly located active dipoles . JAE, vol.13 , num 3. Athens Greece, 2011, 13p.
3. Kekelia G.V., Kobiashvili F.G., Kipiani D.O. To the question on the considerable decrease of the time of numerical count in the problem of scattering the electromagnetic waves on the cylindrical heterogeneity in the resonator part of the waveguide tee. GEN, N2, 2009, p. 25-28.
4. Alavidze M.V., Kekelia G.V., Shavlakadze N. N., Kobiashvili P.G. The strict calculation of four-port waveguide branching. GEN, N 4, 2009, p. 45-52.

**აღმოსავლეთ შავი ზღვის პროგნოზული სისტემა:  
მიმდინარე მდგომარეობა და პერსპექტივები**

ავთანდილ კორძაძე\*, დემური დემეტრაშვილი\*\*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. ნოდias გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, \*[akordzadze@yahoo.com](mailto:akordzadze@yahoo.com) , \*\*[demetr\\_48@yahoo.com](mailto:demetr_48@yahoo.com)

ბოლო ათეულ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის უდიდესი მიღწევაა შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც დაიკვირვება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია მ. ნოდias გეოფიზიკის ინსტიტუტში შემუშავებული შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის, რომელიც მოიცავს საქართველოს სანაპირო ზონას და მის მიმდებარე აკვატორიას [1, 2]. რეგიონული პროგნოზის სისტემა შედგება

ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან. ჰიდროდინამიკური ბლოკის ძირითადი ბირთვია გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მათემატიკური მოდელი. ეკოლოგიური ბლოკის შემადგენელი ნაწილებია ზღვის გარემოში დამატუქციანებელ ნივთიერებათა გავრცელების ორი და სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელები. რეგიონული პროგნოზის სისტემა საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ზღვის აღმოსავლეთ აკვატორიაში ძირითადი დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3 დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს ვიწინასწარმეტყველოთ აგრეთვე ზღვაში ჩადვრილი ნავთობისა და სხვა მინარეების გავრცელების არეები და კონცენტრაციები.

რეგიონული პროგნოზის სისტემის შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია ზღვის დელფიანობის პროგნოზისა და ბიოქიმიური პროცესების მოდელების ჩართვასთან პროგნოზულ სისტემაში. გარდა ამისა, შემუშავდება პროგნოზული სისტემის გაცილებით მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე ვერსია, რომელიც გამოყენებული იქნება აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის (სივრცითი ბიჯით 50-100 მ). ამ ვერსიის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ძირითად ვერსიასთან ერთობლივად. ამგვარად, შეიქმნება კომპლექსური ოპერატიული რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც გააერთიანებს 1 კმ გარჩევისუნარიან პროგნოზულ სისტემას მთლიანად საქართველოს სანაპირო ზონისათვის, და 50-100 მ გარჩევისუნარიან პროგნოზულ ქვესისტემას აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის.

**ლიტერატურა**

1. Kordzadze A. A., Demetrashvili D.I.: Operational forecast of hydrophysical fields in the Georgian Black Sea coastal zone within the ECOOP. Ocean Science 7, pp.793-803. doi:10.5194/os-7-793-2011(2011).
2. . . . . 2013, .49, 6, c. 733-745.

**წინასწარ დაბეჭდილი, ღრმად შემავსებლიანი  
ცილინდრულ ფორმასთან მიახლოებული ბრუნვითი  
ბარსების თერმორხევა**

სერგო კუკუჯანოვი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,  
ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო, [kotic@mail.ru](mailto:kotic@mail.ru)


განხილულია საკუთარი რხევები დრეკად შემავსებლიანი ცილინდრულ ფორმასთან მიახლოებული ბრუნვითი გარსებისა, რომელზეც მოქმედებს ნორმალური წნევა, მერიდიანული ძალების გავლენა და გაცხელება. განხილულია თხელი და დრეკადი გარსები. ტემპერატურა თანაბრად განაწილებულია გარსის სხეულში. მსუბუქი შემავსებელი იგულისხმება სრიალა ტიპის. შემავსებლის მოდულირება ხდება ვინკლერის ფუძით. განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაუსის სიმრუდის მქონე გარსები. მოყვანილია ფორმულები და უნივერსალური მრუდები უმცირესი სიხშირეებისა და ტალღათა წარმოქმნის ფორმებისათვის, რომლებიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე, დრეკადი შემავსებლის სიხისტეზე, წინასწარ დაბეჭდილობაზე, გაუსის სიმრუდის ნიშანსა და ცილინდრული ფორმიდან გარსის გადახრის ამპლიტუდაზე. აგრეთვე განხილულია მდგრადობის საკითხი და მოყვანილია ფორმულები კრიტიკული ძალებისთვის.

**ორთოტროპულ ნახევარსიბრტყეში სოლის მუდმივი  
სიჩქარით ჩაწნევა**

მარინა ლოსაბერიძე, დავით ყიფიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ნაშრომში განხილულია ორთოტროპულ ნახევარსიბრტყეში ბლაგვი სოლის მუდმივი  $V_0$  სიჩქარით ჩაწნევის ამოცანა. საძიებელია გადაადგილების ვექტორის  $u_1$  და  $u_2$  და ძაბვის ტენზორის

$\sigma_x$ ,  $\sigma_y$ ,  $\tau_{xy}$  კომპონენტები, რომლებიც აკმაყოფილებან პირობებს:



$$\frac{\partial u_1}{\partial x} = \frac{1}{E_1} (\sigma_x - \sigma_1 \sigma_y); \quad \frac{\partial u_2}{\partial y} = \frac{1}{E_2} (\sigma_y - \sigma_2 \sigma_x);$$

$$\frac{1}{\mu} \tau_{xy} = \frac{1}{2} \left( \frac{\partial u_1}{\partial y} + \frac{\partial u_2}{\partial x} \right); \quad \tau_{xy} = 0, \text{ როცა } |x| < Vt; \quad \sigma_y = 0, \quad \tau_{xy} = 0, \text{ როცა } y = 0, |x| > Vt,$$

სადაც  $E_1$  და  $E_2$  იუნგის მოდულებია მთავარი მიმართულებით,  $\sigma_1$  და  $\sigma_2$  - პუასონის კოეფიციენტი,  $\mu$  - ძვრის მოდული, ხოლო  $V = V_0 t - ctg \alpha |x|$  სიდიდე უნდა განისაზღვროს ამოცანის მსვლელობაში. ამოცანა დაყვანილია დირიხლეს ამოცანაზე, რომლის ამონახსნი წარმოდგენილია შვარცის ინტეგრალით.





6. . . . , 1962, 198 .

7. . . . , « » , 1974. 224 .

8. . . . . თბილისი, სამთო ჟურნალი N2(27), 2011, გვ.84-87.

**ტალღათა გაბნევა არაერთგვაროვანი ანიზოტროპული წინაღობის მიერ: სასაზღვრო-სივრცული განტოლებების მეთოდი**

დავით ნატროშვილი  
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;  
 ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
 თბილისი, საქართველო, [natroskh@hotmail.com](mailto:natroskh@hotmail.com)

ნაშრომში განხილულია აკუსტიკური ტალღების გაბნევის მათემატიკური ამოცანები, როდესაც ამრეკლავი წინაღობა წარმოადგენს ანიზოტროპულ არაერთგვაროვან გარემოს. განხილულია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პარამეტრები წვეტილია ერთგვაროვანი და არერთგვაროვანი ნაწილების გამყოფ ზედაპირზე. ამოცანები შესწავლილია ახლად დამუშავებული სასაზღვრო-სივრცული ლოკალიზებული განტოლებების თეორიის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის საშუალებით აგებული განზოგადებული პოტენციალებისა და მათი შესაბამისი ინტეგრალური და ფსევდო დიფერენციალური ოპერატორების თვისებებზე. დამტკიცებულია შესაბამისი ტრანსმისიის ამოცანების ამონახსნთა არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რხევის პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.

**მაღლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო დიდი ბრიტანეთის UK-EPSRC EP/M013545/1 და შოთა რუსთაველის ფონდის FR/286/5-101/13 გრანტების ფინანსური მხარდაჭერით.

**ლიტერატურა**

1. Chkadua O., Mikhailov S. and Natroshvili D. Localized Boundary-Domain Singular Integral Equations Based on Harmonic Parametrix for

Divergence-Form Elliptic PDEs with Variable Matrix Coefficients, Integral Equations and Operator Theory, 76 (2013), pp. 509-547.

2. Jentsch L. and Natroshvili D. Interaction between thermo-elastic and scalar oscillation fields, Integral Equations and Operator Theory, 28 (1997), pp. 261-288.

3. Werner P. Beugungsprobleme der mathematischen Akustik, Arch. Ration. Mech. Anal., 12 (1963), pp. 155-184.

**მრავალკუთხა ფირფიტების დრეკადობის თეორიის ამოცანის ზღვრული გადასვლის სასაზღვრო პირობების მოდელირება სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით**

გიორგი ნოზაძე  
 ა. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.  
[g\\_nozadze@yahoo.com](mailto:g_nozadze@yahoo.com)

ნაშრომში განხილულია და ამოხსნილი წესიერი მრავალკუთხა ფირფიტების დრეკადობის ამოცანა თავისუფალი დაყრდნობის სასაზღვრო პირობით სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით 3 განზომილებიანი დასმის შემთხვევაში. სიმარტივისათვის განხილულია ფირფიტის ზედაპირისადმი მართობული დატვირთვა შეყურსული ძალის სახით ფირფიტის ცენტრში. ამოცანის მოდელირება განხორციელდა Solid Work -ის პროგრამულ გარემოში.

ნაჩვენებია, რომ მრავალკუთხედების თავისუფალი დაყრდნობის სასაზღვრო პირობა განიცდის გადაგვარებას კუთხის წერტილების რიცხვის მატებასთან ერთად ზღვრული გადასვლის დროს ( $N \rightarrow \infty$ ) და არ შეესაბამება აპროქსიმაციით მიღებული სათანადო წრიული ფირფიტის თავისუფალი დაყრდნობის სასაზღვრო პირობას.

**ლიტერატურა**

1. . . . . : , 1985

2. . . . , . . .

- 6, 1156–1177, 1986, 50,
3. " // . 2007.
3. . 46-54

**ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულისთვის  
დრეპალობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი  
სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა  
კოლოკაციის მეთოდით**

არჩილ პაპუკაშვილი, თეიმურაზ დავითაშვილი, ზურაბ ვაშაკიძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო,  
[apapukashvili@rambler.ru](mailto:apapukashvili@rambler.ru), [tedavitashvili@gmail.com](mailto:tedavitashvili@gmail.com),  
[zurab.vashakidze@gmail.com](mailto:zurab.vashakidze@gmail.com)

ნაშრომში წარმოდგენილია ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) ორთოტროპიული სხეულების შემთხვევაში დრეკალობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების კვლევა ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდით. ვიხილათ ორ ამოცანას. პირველი ამოცანის შემთხვევაში ბზარი გამომდის გამყოფ საზღვარზე (ბზარი ვრცელდება გამყოფ საზღვრამდე) მართი კუთხით, ხოლო მეორე ამოცანის შემთხვევაში ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს მართი კუთხით. პირველი ამოცანა მიიყვანება უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას, ხოლო მეორე ამოცანა უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე (წყვილზე) მხები ძაბვების ნახტომების (ბზარის გახსნის მახასიათებელი ფუნქციების) მიმართ (იხ. [1]). ზემოაღნიშნულ საკვლევე ამოცანებში ჩვენი ძირითადი მიზანი იყო შეგვეწავლა ბზარის გახსნის მახასიათებელი ფუნქციის ყოფაქვევა, ბზარის ბოლოებში დაძაბულობის ინტენსიურობის კოეფიციენტების გამოთვლა და ბზარის გავრცელების შესახებ პროგნოზის გაკეთება.

საბაზისო ინტეგრალურ განტოლებას, ასევე ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას ვხსნით კოლოკაციის, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით (იხ. [2]). შესაბამისი წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემები მიღებული გვაქვს როგორც თანაბრად დაშორებულ (მართკუთხედების კვადრატურული ფორმულის გამოყენებით), ასევე არათანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში (ჩებიშევის კვანძებზე აგებული უმაღლესი სიზუსტის კვადრატურული ფორმულების გამოყენებით). წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნა, ამონახსნის გრაფიკული ინტერპრეტაცია ხორციელდებოდა პროგრამული სისტემა Matlab-ის გამოყენებით.

წარმოდგენილ ნაშრომში ზემოაღნიშნული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები, ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი გათვლები და გაკეთებულია ბზარის გავრცელების შესახებ კიპოტეორი პროგნოზი.

**ლიტერატურა**

1. Papukashvili A.R. Antiplane problems of theory of elasticity for piecewise-homogeneous orthotropic plane slackened with cracks. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 169, N2, p.267-270, Tbilisi (2004).
2. Belotserkovski S.M., Lifanov I.K. Numerical methods in the singular integral equations and their application in aerodynamics, the elasticity theory, electrodynamics. 256 pp., Moscow, "Nauka" (1985).

**რთული გავრცობილი კონფიგურაციის მქარა დეფორმირებადი ტანის მოდელირება და გაანგარიშება დისკრეტული წარმოდგენის საფუძველზე**

- დავით პატარაია\*, ედიშერ წოწერია\*\*,  
გიორგი ფურცელაძე\*\*\*, რუსუდან მაისურაძე\*\*\*\*  
\* გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, [david.pataraiia@gmail.com](mailto:david.pataraiia@gmail.com);  
\*\* შ.პ.ს. კონსტუდიო, თბილისი, საქართველო,  
[edishertso@gmail.com](mailto:edishertso@gmail.com) ;  
\*\*\* თბილისის სატრანსპორტო კომპანია, თბილისი,  
საქართველო, [georgepurceladze@gmail.com](mailto:georgepurceladze@gmail.com) ;  
\*\*\*\* გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, [rusikomais@gmail.com](mailto:rusikomais@gmail.com)

სამუშაოში წარმოდგენილია მყარი დეფორმირებადი ტანის გაანგარიშების ორიგინალური მიდგომა, რომელიც ეფუძნება და იყენებს ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებულ დისკრეტულ მოდელსა და ალგორითმს [1-6].

განხილულია ამ მეთოდის გამოყენების სხვადასხვა ასპექტები ისეთი რთული კონფიგურაციის არაერთგვაროვანი და გავრცობილი ტანების მოდელირებისა და გაანგარიშებისას, როგორცაა, მაგალითად, კოსმოსური ანტენები, ბაგირგზები, კაშხლები.

დიდი ზომის ტანების გაანგარიშებლად დამუშავდა მიდგომა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შემოთავაზებული სათვლელი ალგორითმის დანაწილება და რეალიზაცია კომპიუტერების ლოკალურ ქსელში ან სულაც ინტერნეტში.

გაწეული კონსულტაციებისათვის, მხარდაჭერისა და პროფესიული თანადგომისათვის დიდ მადლობას ვუხდით გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივსა და მის დირექტორს პროფესორ გიორგი ჯაიანს.

**ლიტერატურა**

1. Ein Beitrag zur diskreten Darstellung des Seiles. Wissenschaftliche Arbeiten des Instituts fuer Eisenbahnwesen, Verkehrswirtschaft und Seilbahnen, Technische Univeristat Wien), 1981.
2. Calculation and design of rope systems of the ropeway (In Russian Language). Mecniereba, Tbilisi, 2000 - 115 p;

3. The calculation of rope-rod structures of ropeways on the basis of the new approach, WORLD CONGRESS of O.I.T.A.F., RIO DE JANEIRO, BRAZIL, October, 2011, 24 – 27, PAPERS OF THE CONGRESS,  
<http://www.oitaf.org/Kongress%202011/Referate/Pataraiia.pdf>
4. <http://www.mining.org.ge/develop/pataraiia-dmr/index.html>
5. Modeling and Calculation of Big Rarefied Space Structures. International Scientific Conference (In English language); Georgian Technical University. 206-214p; 2009.
6. Discrete model and calculation method for rope-rod structures, Problem of Mechanics / International federation for the promotion of mechanism and machine science, (In English language), 2008 - N2 (31).

**საავიაციო უმაღლესი განათლება საქართველოში**

- სერგო ტეფნაძე\*, გელა ყიფიანი\*\*  
\*საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [rector@ssu.edu.ge](mailto:rector@ssu.edu.ge)  
\*\*საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [g.kipiani@ssu.edu.ge](mailto:g.kipiani@ssu.edu.ge)

მოხსენებაში გადმოცემულია ადგილობრივი საინჟინრო კადრების მომზადების მიზნით თვითმფრინავმშენებლობის კათედრის დაარსებიდან, ახალი კონცეპციის საფუძველზე საავიაციო უმაღლესი განათლების ჩამოყალიბების შესახებ. თუ როგორ შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში სამთავრობო დადგენილების საფუძველზე თვითმფრინავმშენებლობის კათედრის ბაზაზე საავიაციო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საავიაციო ინსტიტუტის გამოყოფა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და მის ბაზაზე “საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“-ს ჩამოყალიბება. აღნიშნულია საავიაციო ინსტიტუტის და საავიაციო უნივერსიტეტის აღმოცენების და განვითარების საკითხები, აწმყო და მომავალი.

## თავისუფალდინებადი მიკროჰესები

თამაზ ღონდაძე  
სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი  
„დელტა“, თბილისი, საქართველო,  
[tgongadze@stcdelta.com](mailto:tgongadze@stcdelta.com)

განხილულია თავისუფალდინებადი მიკროჰესების ნაირ-სახეობები, რადგანაც სწრაფი მდინარეები, რომელთა დინების კინეტიკური ენერჯია ყურადსაღებია, მრავლადაა მსოფლიოში (საქართველოშიც). მიკროჰესების სავარაუდო სიმძლავრე 50კვტ-÷10კვტ. არ მოითხოვს არავითარ ჰიდრონაგებობებს, არავითარ დერივაციებს. საჭირო იქნება ზოგჯერ ნაპირებზე ჩამაგრება და სახელდახელო საშუალებები (რიყის ქვა, იქვე არსებული ხე). წყალში მოძრაობს მხოლოდ ტურბინის ფრთები. არანაირი სხვა მოხახუნე დეტალები წყალში არაა ჩაძირული. მათთვის დამახასიათებელია ენერჯიის გამოყენების დიდი კოეფიციენტი; მცირე გაბარიტები და შესაბამისად მცირე წონა.

## საზრუნავი აპარატებში არარეზონანსული მძრის კონსტრუქციების მდგრადობა

გელა ყიფიანი\*, ვალერი მიქაძე\*\*  
\*საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [gelakip@gmail.com](mailto:gelakip@gmail.com)  
\*\* საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [vmail@mail.ru](mailto:vmail@mail.ru)

თხელკედლიან კონსტრუქციებში გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების არარეზონანსულობა იწვევს ძაბვების მნიშვნელოვან კონცენტრაციას და ქმნის ბზარების ან პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების საშიშრობებს. უმეტეს შემთხვევაში მათი მზიდუნარიანობა განისაზღვრება სიმტკიცის პირობებით ან ძაბვების კონცენტრაციის ზონაში მდგრადობის დაკარგვით. რეგულარობის დარღვევის სხვა სახეებს მიეკუთვნება ზედაპირის ტეხვა, რასაც ადგილი აქვს ნაოჭოვან და მრავალ-

ტალღოვან გადახურვებში, დაძაბულ მდგომარეობაზე გავლენით ისინი წიბოების ანალოგიურები არიან.

განსაკუთრებით ძლიერ არღვევენ რეგულარობას ჭრილები, ტეხვები, ხვრეტები, ბზარები, აგრეთვე ღეროების ტიპის სხვადასხვა ხისტი ჩანართები [1, 2, 3]. მოხსენებაში გადმოცემულია ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესახებ საფრენ აპარატებში კონსტრუქციების მდგრადობის საკითხებზე.

## ლიტერატურა

1. . . . , 1980. –196 c.
2. . . . , 1996. –442 c.
3. Kipiani G., Mikadze V., Nikolaishvili L. Stability of plates with discontinuous parameters//V International Scientific and Technical Conference “Modern Problems of Water Management, Environmental Protection, Architect and Construction”, July 16-19, 2015, Tbilisi, Universali, 2015, pp. 293-300.

## რგოლურ ფორმებში ამჟღავნებელი კალის ფორმირების საეტიმოლოგია

გელა ყიფიანი\*, არჩილ გეგუჩიანი\*\*  
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი\*, აკაკი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი\*\*  
[gelakip@gmail.com](mailto:gelakip@gmail.com), [a.geguchi@yahoo.com](mailto:a.geguchi@yahoo.com)

თავიდანვე ასე წარმართა და დღემდე უპირატესად გავრცელებულია წრიული ან რგოლური ფორმის ფრთებიანი ვერტიკალური აფრენა-დაფრენის საფრენი აპარატების ისეთი კომპანება, რომელშიც ამწვეი ძალის მაფორმირებელი (მუშა) ზედაპირის ფორმა უახლოვდება სფერულს, ან რგოლურ-გუმბათოვანს და არ უხერხდება სიმძიმის ცენტრის დაწვევა ამ ზედაპირის გეომეტრიული ცენტრზე უფრო დაბლა. ეს გარემოება წარმოშობს ასეთი ტიპის საფრენი აპარატების მდგრადობის არასაკმარის პირობას.

პრობლემის გადასაწყვეტად სტატიაში შედარებულია წინსვლით მოძრავი კლასიკური და ცენტრიდანული გაქრევიტ ვერტიკალური აფრენა-დაფრენის რგოლურ-გუმბათოვან ფრთიანი სქემების საფრენი აპარატების ამწევი ძალის ფორმირების მექანიკური პრინციპები შესაბამისად, აეროდინამიკის გათვალისწინებით. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში აეროდინამიკურ პროფილიანი ფრთა მოძრაობისადმი ფრონტალურად მიმართული წინა წიბოთი გაივლის უძრავ ჰაერის მასებში, ხოლო მეორე შემთხვევაში - ცენტრიდან გარეთ მოძრავი აერის მასები გარს შემოუვლიან ცენტრისკენ მიმართულ აეროდინამიკურ პროფილიან უძრავ რგოლურ ფრთას.

აღნიშნული განსხვავება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამწევი ძალების ფორმირების პროცესის ანალიზის დროს. პირველ შემთხვევაში ამწევი ძალის ფორმირებისათვის საჭიროა წინა ნაწიბურის მაღლა აწევა უკანასთან შედარებით, რათა შეიქმნას ე.წ. „შეტვის კუთხე“, ხოლო მეორე შემთხვევაში არჩევანი შეჩერებულია არაორდინარულ გადაწყვეტაზე: აეროდინამიკურ პროფილიანი რგოლური (ან რგოლების ერთობლიობით შედგენილი) ფრთ(ებ)ის წინა ნაწიბურ(ებ)ი დაწეულია, ხოლო ჰაერის ცენტრიდანული ნაკადები - აღმაგალი (დახრილად ზემოთ მიმართული). პირველ შემთხვევაში ფრთის ქვედა ზედაპირზე დაცემული და ასხლეტილი (არეკლილი) ჰაერის ნაკად(ებ)ის ტოლქმედი ძალა დახრილია, ხოლო ამწევი ძალას ქმნის მისი ვერტიკალური მდგენელი, ხოლო მეორე შემთხვევაში, რგოლური ფრთ(ებ)ის ზემოაღნიშნული სპეციფიური განლაგებით, ფრთის ქვედა ზედაპირზე დაცემული და ასხლეტილი (არეკლილი) ჰაერის ნაკად(ებ)ის ტოლქმედ ძალას განესაზღვრება ვერტიკალური მიმართულება და იგი სრულად იქნება გამოყენებული ამწევი ძალად.

წრიული ფრთის შემადგენელი აეროდინამიკურ პროფილიანი რგოლების ურთიერთგანლაგება იძლევა მათი ზედაპირების საერთო გეომეტრიული ცენტრის სიმძიმის ცენტრზე უფრო მაღლა აწევისა და ამით საფრენი აპარატის მდგრადობის გაზრდის შესაძლებლობას.

## ბადასვლები ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითბოგამტარი სითხის ტემპერატურა-დინის დინამიკაში

ლუიზა შაფაქიძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, [luiza@rmi.ge](mailto:luiza@rmi.ge)

მოსხენებაში წარმოდგენილია არამდგრადობები და გადასვლები ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითბოგამტარი სითხის დინებაში, რომელიც გამოწვეულია ცილინდრების გასწვრივ მოქმედი მუდმივი აზიმუტური წნევის გრადიენტისა და ცილინდრების ბრუნვით.

იგულისხმება, რომ სითხის დინებაზე მოქმედებს რადიანული დინება ფოროვანი ცილინდრების კედლების მიმართულებით და რადიანული ტემპერატურული გრადიენტი. ნაჩვენებია, რომ მოქმედი წნევის გრადიენტის სიდიდე და მისი მიმართულება, ასევე ტემპერატურული გრადიენტი შესამჩნევ გავლენას ახდენს ძირითადი სტაციონარული დინების არამდგრადობაზე და რთული რეჟიმებისაკენ გადასვლაზე.

## წანაცვლებითი ძარის გავლენა დიდმასშტაბიანი უფს მოღების მიერ ზონარული დინებების გენერაციაზე

- ხათუნა ჩარგაზია\*\*,\*\*\* ოლეგ ხარშილაძე\*,\*\*\*  
\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, [oleg.kharshiladze@gmail.com](mailto:oleg.kharshiladze@gmail.com)  
\*\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,  
\*\*\* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, [khatuna.chargazia@gmail.com](mailto:khatuna.chargazia@gmail.com)

წარმოდგენილ მოსხენებაში განხილულია დამაგნიტებული როსბის ტალღის მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების

გენერაცია არაერთგვაროვან წანაცვლებით დინებებით მართულ დისიპაციურ იონოსფეროში. მიღებულია მოდიფიცირებული ჩარნი-ობუხოვის ტიპის განტოლება, რომელიც აღწერს ხუთი სხვადასხვა მასშტაბის მოდის არაწრფივ ურთიერთქმედებას. ეს მოდებია: ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) დამაგნიტებული როსბის ტალღა, მისი ორი სატელიტი, გრძელტალღოვანი ზონალური მოლა და დიდმასშტაბიანი ფონური წანაცვლებითი დინება (არაერთგვაროვანი ქარი). შესწავლილია არაწრფივობების (სკალარული, ვექტორული) ეფექტების გავლენა სასრულ ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის მიერ დიდმასშტაბიანი ზონალური დინებების ფორმირებაზე დისიპაციურ იონოსფეროში. გამოყენებულია მოდიფიცირებული პარამეტრული მიდგომა. შეშფოთებების ამპლიტუდების შესაბამისი განტოლებათა სისტემის თეორიული ანალიზისა და რიცხვითი მოდელირების ბაზაზე გამოვლენილია შედარებით მცირემასშტაბიანი უდს როსბის ტალღებიდან და ფონური დინებიდან დიდმასშტაბიან ზონალურ დინებებში ენერჯის გადატანის ახალი თავისებურებები და ზემოთ აღნიშნული ხუთი მოდის არაწრფივი თვითორგანიზაცია იონოსფერულ გარემოში. ზონალური დინებების გენერაცია განპირობებულია სასრულო ამპლიტუდიანი დამაგნიტებული როსბის ტალღის ურთიერთქმედებით ფონურ წანაცვლებით დინებასთან. შესწავლილია ზონალური დინებების გაძლიერების ინკრემენტის დამოკიდებულება ფონური წანაცვლებითი დინების სტრუქტურასა და სიჩქარის სიდიდეზე.

**მაღლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტ No. 31/14. მხარდაჭერით.

**ბიოფილმი რომელსაც უკავია  
თხელი პრიზმული არეები**

ნატალია ჩინჩალაძე  
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო  
უნივერსიტეტის

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი &  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მათემატიკის დეპარტამენტი

[chinchaladze@gmail.com](mailto:chinchaladze@gmail.com), [natalia.chinchaladze@tsu.ge](mailto:natalia.chinchaladze@tsu.ge)

ბიოფილმი არის გელის მსგავსი აგრეგატი, რომელიც შედგება ბაქტერიების მსგავსი მიკროორგანიზმებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბიოფილმი შეიცავს სითხეს ისინი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მყარი სტრუქტურა. ბიოფილმი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა გარემოს გამყოფ ზედაპირებზე, მაგალითად, მყარი სხეულისა და სითხის საკონტაქტო ზედაპირზე ან აირისა და მყარი სხეულის, ან აირისა და სითხის გამყოფ ზედაპირზე და ა.შ. (იხ. [1] და იქ მითითებული ლიტერატურა).

წინამდებარე მოხსენება ეხება ერთ და ორგანზომილებიან ამოცანებს, როცა ბიოფილმს უკავია თხელი პრიზმული არე. ორგანზომილებიანი ამოცანის განხილვისას გამოყენებულია ვეკუას იერარქიული მეთოდები (იხ., მაგ., [2]-[4]).

**მაღლობა.** წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო CNR (იტალია) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (საქართველო) ერთობლივი სამეცნიერო პროექტის (No. 09/04) "Some classes of PDE and systems with applications to mechanics and biology" (2012/2013) ფარგლებში.

**ლიტერატურა**

1. F. Clarelli, C. DI Russo, R. Natalini, M. Ribot, Mathematical models for biofilms on the surface of monuments, Applied and Industrial Mathematics In Italy III, proceedings of SIMAI Conference 2008, Series on Advances in Mathematics for Applied Sciences - 82 (2009)

2. I. N. Vekua, On a way of calculating of prismatic shells (in Russian), Proceedings of A. Razmadze Institute of Mathematics of Georgian Academy of Sciences. 21, 191-259 (1955)
3. I. N. Vekua, Shell Theory: General Methods of Construction, Pitman Advanced Publishing Program, Boston-London-Melbourne, 1985
4. N. Chinchaladze, Hierarchical models for biofilms occupying thin prismatic domains, Bull. TICMI. 18, No. 2, 102-109 (2014)

**ტრანსფორმირებადი კოსმოსური რეზონატორის  
მექანიკური სისტემის თეორიული კვლევა**

შოთა წეროძე\*, მალხაზ ნიკოლაძე\*\*

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [tserodze@gtu.ge](mailto:tserodze@gtu.ge)

\*\* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,  
საქართველო, [malkhaz.nikoladze@yahoo.com](mailto:malkhaz.nikoladze@yahoo.com)

მოხსენებაში წარმოდგენილია ახალი ჩაკეტილ ჯაჭვიანი განშლადი სისტემა. ანალოგიური სტრუქტურებისაგან მისი კონსტრუქცია გამოირჩევა იმით, რომ მეზობელი სექციების შესაერთებლად არ საჭიროებს დამატებით სინქრონიზაციის მოწყობილობებს. მისი გასაშლელი მექანიზმი წარმოადგენს დიფერენცირებულ ბერკეტულ მექანიზმს, რომელიც იძლევა საშუალებას მივიღოთ მახასიათებელი რგოლის მოძრაობის სასურველი კანონი. კონსტრუქციის წინასწარი გამოკვლევით და აუცილებელი შესწორებების შეტანით აგებულია მათემატიკური მოდელი ANSYS პროგრამით Ansys Parametric Design Language-ის გამოყენებით. სახსრების თავისუფლების ხარისხი მოდელირებულია ადგილობრივ კოორდინატთა სისტემაში და მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ მოდელთან. გაანგარიშება ჩატარებულია დატვირთვის სხვადასხვა შემთხვევისათვის და მიღებულია შესაბამისი შედეგები.

**ლიტერატურა**

1. Medzmariashvili, Sh. Tserodze, V. Gogilashvili. New Variant of the Large Deployable Ring-Shaped Space Antenna. *Space Communications* 22 (2009) 41-48.

2. Sh. Tserodze, J. Santiago Prowald, van't Klooster C.G.M., E. Logacheva. "Spatial Double Conical Ring-Shaped Reflector for Space Based Application". Proceedings of 33rd ESA Antenna Workshop "Challenges for Space Antenna Systems". 18 - 21 October 2011. ESTEC, Noordwijk, The Netherlands.
3. E. Medzmariashvili, N Tsignadze, Sh. Tserodze, J. Santiago-Prowald; C. Mangenot, C.G.M. Van't Klooster, H. Baier, M. Janikashvili. Design of Reflector with Double Pantograph and Flexible Center. *Proceedings of ESA Antenna Workshop on Large Deployable Antennas*. 2-3 October 2012. ESTEC, Noordwijk, The Netherlands

**იტირაციული მეთოდი ტიმოშენკოს  
ტიპის დინამიური ძეგლისათვის**

ზ. წიკლაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მათემატიკის  
დეპარტამენტი, [zviad\\_tsiklauri@yahoo.com](mailto:zviad_tsiklauri@yahoo.com)

განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ტიმოშენკოს ტიპის დინამიური ძეგლის მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია: გალიორკინის მეთოდი, სხვაობიანი სქემა და იაკობის იტირაციული მეთოდი. შეფასებულია იტირაციული მეთოდის ცდომილება.



**ბრიტანეთის კვლევის ერთიანი მიზნობა ბიორბი  
ანგუზიანის წიგნში “არაწრფივი ბრიტანული  
სტრუქტურებისა და ბრიტანული ტურბულენტობის  
თვითორგანიზება დისპერსიულ გარემოში”**

ოლეგ ხარშილაძე\*,\*\*\* ხათუნა ჩარგაზია\*\*,\*\*\*

\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,  
[oleg.kharshiladze@gmail.com](mailto:oleg.kharshiladze@gmail.com)

\*\*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი  
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,

\*\*\* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი,  
საქართველო, [khatuna.chargazia@gmail.com](mailto:khatuna.chargazia@gmail.com)

ჰიდროდინამიკის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს გრი-  
გალის დინამიკის შესწავლა. განსაკუთრებით ეს საკითხი მნიშ-  
ვნელოვანია ატმოსფეროსა და ოკეანის ცირკულაციის პრობ-  
ლემებში, სადაც განიხილება სხვადასხვა მასშტაბების გრიგა-  
ლების გადატანის ამოცანა. ანალოგიურია გრიგალური სტრუქ-  
ტურების როლი პლაზმისა და იონოსფერულ-მაგნიტოსფერულ  
გარემოს დინამიკის შესწავლისათვის. ასეთ სტრუქტურებს  
უფრო ეფექტურად, ვიდრე წრფივ ტალღებს, შეუძლიათ გარე-  
მოს თავისუფალი ენერჯის შთანთქმა და ძლიერი ტურბულენ-  
ტობის ჩამოყალიბება. მოხსენებაში განხილულია გ. აბურჯა-  
ნიას ერთიანი მიდგომა სხვადასხვა დისპერსიულ ფიზიკურ გა-  
რემოში არაწრფივი ტალღური პროცესების შეაწავლისათვის,  
როგორც ნეიტრალურ გეოფიზიკურ გარემოში, ასევე გამტარ  
გარემოში – ლაბორატორიულ პლაზმასა და იონოსფეროში.

განხილულია აღნიშნული ამოცანების შესაბამისი დინამიკურ  
განტოლებათა სისტემის მსგავსება და გ. აბურჯანიას მიერ ჩა-  
მოყალიბებული ერთიანი მათემატიკური აპარატი. შესწავლილია  
გრიგალური სტრუქტურების სკალარულ და ვექტორულ სტრუქ-  
ტურებად დაყოფის შესაძლებლობა, რაც მოცემულია აბურ-  
ჯანიას წიგნში, ასევე ასეთი სტრუქტურების დამახასიათებელი  
თავისებურებანი. როგორც რიცხვითმა კვლევებმა აჩვენა,  
სტრუქტურების დინამიკისა და გრიგალების ურთიერთქმედების  
ძირითად მახასიათებლებს განსაზღვრავს განტოლებაში შემავა-

ლი არაწრფივი წევრები. განტოლებათა სისტემის არაწრფივო-  
ბის გამო მისი ამოხსნისას წარმოიქმნება რთული მათემატიკუ-  
რი პრობლემები, რომელთა ამოხსნა სტაციონარულ შემთხვე-  
ვებში მოცემულია გ. აბურჯანია წიგნში. ამ მოდელების ანალი-  
ზურმა კვლევებმა მოახდინა გრიგალური სტრუქტურების არას-  
ტაციონალური ამოცანების რიცხვითი კვლევების სტიმულირე-  
ბა, რამაც აჩვენა გ. აბურჯანიას თეორიული კვლევების კარგი  
თანხვედრა რიცხვით, თანამგზავრულ და ლაბორატორიულ  
ექსპერიმენტებთან.

**ლიტერატურა**

- 1 Aburjania, G.D.: Self-Organization of the Nonlinear Vortex Structures and the Vortical Turbulence in the Dispersive Media: Kom-Kniga, Editorial URSS, Moscow (2006).

**ზოგიერთი მიღებული შედეგი და აქტივობა**

გიორგი ჯაიანი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის  
ინსტიტუტი & ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი  
[george.jaiani@gmail.com](mailto:george.jaiani@gmail.com), [giorgi.jaiani@tsu.ge](mailto:giorgi.jaiani@tsu.ge)

წინამდებარე მოხსენება, გარკვეული აზრით, წარმოადგენს  
მომხსენებლის ანგარიშს მისი ძირითადი აქტივობების თაობაზე  
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტში, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირსა და საქართვე-  
ლოს მექანიკოსთა კავშირში; გარდა ამისა ის ეძღვნება მის ძირი-  
თად შედეგებს კერძოწარმოებულნიან დიფერენციალურ, უმთავრე-  
სად გადაგვარებულ, განტოლებათა თეორიაში და მათ გამოყენე-  
ბებს წამახვილებული დრეკადი გარსების, ფირფიტებისა და  
ღეროებისათვის. ის შეიცავს აგრეთვე დრეკადი მყარი სხეულები-  
სათვის და სითხისა და დრეკადი მყარი სხეულების ურთიერთქმე-  
დების ამოცანებისათვის ავტორის მიერ აგებულ ზოგიერთ ორ და  
ერთგანზომილებიან მოდელების მოკლე მიმოხილვას.

**ბინარული ნარევისგან შედგენილი ფირფიტების  
დრეკადი წონასწორობის განტოლებების მიღება  
მიმდევრობითი გაწარმოების მეთოდით**

რომან ჯანჯავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი  
მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,  
[roman.janjgava@gmail.com](mailto:roman.janjgava@gmail.com)

მოხსენებაში განიხილება ორი იზოტროპული დრეკადი მასალის ნარევის ე. წ. გრინ-ნაგდი-სტილის მოდელი [1]. აღნიშნული სამგანზომილებიანი მოდელის ძირითადი განტოლებებიდან ბინარული ნარევისგან შედგენილი ფირფიტებისთვის სტატიკური წონასწორობის განტოლებათა სისტემის მისაღებად გამოყენებულია ი. ვეკუას რედუქციის მეთოდი, რომელსაც ის მიმდევრობითი გაწარმოების მეთოდს უწოდებს [2]. ადრე, დამრეცი გარსებისთვის შესაბამისი განტოლებების მისაღებად გამოყენებული იყო საძიებელი სიდიდეების სისქის მიმართ დეჟანდრის პოლინომებად გაშლის მეთოდი [3].

**მაღლობა.** ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი SRNSF/FR/358/5-109/14).

**ლიტერატურა**

1. Natroshvili D. G., Jagmaidze A. Ya., Svanadze M. Zh. Some problems of the linear theory of elastic mixtures. TSU press, Tbilisi (1986). (in Russian)
2. Vekua, I.: Shell Theory: General Methods of Construction. Pitman Advanced Publishing Program, 287 pp., Boston-London-Melbourne (1985).
3. Janjgava R. Derivation of two-dimensional equation for shallow shells by means of the method of I.Vekua in the case of linear theory of elastic mixtures. Journal o Mathematical Sciences. Spr. New York, 2009, vol. 157, N1, 70- 78.

**უსასრულო ფორივანი ფირფიტის გამტარი სითხის  
დამცემი ნაკადით ბრუნვის არასტაციონარული  
ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის  
გათვალისწინებით ცვლადი გამოჟონვის სიჩქარისა და  
ელექტროგამტარების შემთხვევაში**

ლ.ა. ჯიქიძე\*, ვ.ნ. ცუცქირიძე\*\*

\* საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური  
ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77  
\*\* მათემატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით შესწავლილია სიჩქარის  $\hat{r} = ar$ ,  $\hat{\zeta} = 0$ ,  $\hat{z} = -2az$  კომპონენტების მქონე გამტარი სითხის დამცემი ნაკადით უსასრულო ფორივანი ფირფიტის ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით, როცა ელექტროგამტარების კოეფიციენტი და გამოჟონვის სიჩქარე წარმოადგენენ ტემპერატურაზე დამოკიდებულ  $t = t_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$ ,  $w = w_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$  სახის ფუნქციებს.

დინამიკური და სითბური სასაზღვრო ფენათა სისქეების განსაზღვრავად მიღებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლებები და ჩაწერილია მათი ზუსტი ამოხსნები ზოგიერთ კერძო შემთხვევაში, როდესაც გამოჟონვის სიჩქარე იცვლება სხვადასხვა კანონით და სასაზღვრო ფენათა სისქეებს შორის არსებობს  $u_T(t) = Xu(t)$  სახის დამოკიდებულება.

გამოთვლილია დინების ყველა ფიზიკური მახასიათებელი.

## CONTENTS

<b>H. Altenbach</b>	
Material modeling - an academic game or a tool for a better design	5
<b>A. Aptsiauri</b>	
The exact expression of turbulent stress tensor and calculation results	5
<b>Z. Arkania</b>	
Bars and hoses calculation	6
<b>G. baisarova, O. kikvidze</b>	
Experimental investigation beam at thermo mechanical loading	7
<b>L. Bitsadze</b>	
On some problems in the theory of thermoelasticity for a sphere with double porosity	7
<b>S. Bliadze, V. Mikadze</b>	
Dynamic models of laminated systems	8
<b>A. Bregvadze, I. Saginadze</b>	
Numerical modeling of sea shore dynamic and its engineering aspects	9
<b>Kh. Chargazia, O. Kharshiladze</b>	
Influence of the shear wind on generation of the large scale zonal flows by ulf modes	10
<b>N. Chinchaladze</b>	
On some problems of biofilms occupying thin prismatic domains	11
<b>T. Davitashvili, G. Gubelidze, M. Sharikadze</b>	
On one quasi-stationary nonlinear mathematical model for leak localization in the branched gas pipeline	12
<b>T. Davitashvili, Z. Modebadze</b>	
Implementation of WRF model for the territory of caucasus	13
<b>A. Dumbadze</b>	
On one refined method of analysis in creeping non-linear theory	13
<b>J. Gigineishvili, I. Timchenko, G. Cikvaidze</b>	
Influence of results of numerical analysis and structural decision on architecture of "hilton" hotel complex in batumi	14

<b>J. Gigineishvili, G. Gedevanishvili, T. Matsaberidze, T. Goginashvili</b>	
Structure features of the clamping (retaining) walls of landslide slopes on the complex relief	16
<b>G. Giorgadze, G. Khimshiashvili</b>	
Geometry of configuration spaces of linkages and quadratic mappings	17
<b>V. Gogadze</b>	
Kinematic research of crane-transport facilities and road-car working appliances	18
<b>T. Gongadze</b>	
Free flow micro hydro-electric stations	18
<b>B. Gulua</b>	
Normed moments method for non-shallow shells	19
<b>G. Jaiani</b>	
Some results obtained and activities	20
<b>R. Janjgava</b>	
Derivation of the equations of elastic balance of the plates consisting of binary mixture using the method of consecutive differentiation	20
<b>L. Jikidze, V. Tsutskiridze</b>	
Unsteady rotation problem of the motion of infinite porous plate with the falling stream of the conductive fluid with account of magnetic field and heat transfer in case of variable injection velocity and electric conductivity	21
<b>R. Kakhidze</b>	
Strength of plate type multi-layer structures in aircrafts	22
<b>G. Kapanadze, Miranda Narmania</b>	
On one problem of the plane theory of elasticity for a circular hole with a finite polygonal domain	23
<b>O. Kharshiladze, Kh. Chargazia</b>	
General approach of vortices study due to Giorgi Aburjania's book "self-organization of the nonlinear vortex structures and the vortical turbulence in the dispersive media"	24
<b>R. Kienzler, P. Schneider</b>	
On consistent plate theories. Partial differential equations, stress resultants and displacements	25
<b>G. Kipiani, A. Geguchadze</b>	
Specificity of uplift force formation on the annular wing	26

<b>G. Kipiani, V. Mikadze</b> Stability of having irregularities structures in aircrafts	27	<b>L. Shapakidze</b> Transitions in taylor-dean flow of a heat-conducting fluid between two rotating porous cylinders	38
<b>V. Kirtskhalia</b> Generalized equation of continuity of mass and its consequences	27	<b>N. Shavlakadze</b> The solutions of two-dimensional integro-differential equations and their applications in the theory of viscoelasticity	38
<b>A. Kordzadze, D. Demetrashvili</b> Easternmost Black Sea forecasting system: the current state and perspectives	28	<b>S. Tepnadze, G. Kipiani</b> Aviation high education in Georgia	40
<b>S. Kukudzhniov</b> On thermal oscillations of beforehand stressed shells of revolution, close by their form to cylindrical ones, with an elastic filler	29	<b>Sh. Tserodze, M. Nikoladze</b> Theoretikal investigation of transformable spase reflector mechanical system	40
<b>D. Kvaratskhelia D. Demetrashvili</b> Numerical investigation of features of the Black Sea mixed layer for the Georgian coastal line	30	<b>Z. Tsiklauri</b> An iterative method for a timoshenko type dynamic beam	41
<b>M. Losaberidze, D. Kipiani</b> The constant-velocity pressing of a wedge in an orthotropic half-plane	30	<b>T. Vashakmadze</b> On modeling of thermodynamic nonshallow elastic shells and application of complex analysis	41
<b>T. Meunargia</b> Generalization of I. Vekua's method for the physically and geometrically non-linear and non-shallow shells	31	<b>N. Zirakashvili</b> Study of stress-strain state of elliptical body whit crack	42
<b>R. Mikhelson, S. Khomeriki, M. Losaberidze, D. Khomeriki, G. Shatberashvili</b> Theoretical basis of explosive extraction of stone blocks	33		
<b>D. Natroshvili</b> Wave scattering by inhomogeneous anisotropic obstacles: boundary-domain integral equation approach	33		
<b>G. Nozadze</b> Modeling of limit passage of boundary value problems elasticity of polygonal plates by the finite element method	34		
<b>A. Papukashvili, T. Davitashvili, Z. Vashakidze</b> Approximate solution of some boundary value problem of antiplane elastisity theory by collocation method for composite bodies weakened by cracks	35		
<b>D. Pataraiia, E. Coceria, G. Purceladze, R. Maisuradze</b> Modeling and calculation of complex extended configuration solid deformable body based on discrete presentations	36		
<b>M. Rajczyk, L. Lausova</b> Research of deformability of the multi-layered orthotropic shell	37		

# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>ზ. არქანია.</b> ღეროებისა და შლანგების ანგარიში	43
<b>ა. აფციაური.</b> ტურბულენტობის ტენზორის ზუსტი განტოლება და ანგარიშის შედეგები	44
<b>გ. ბაისაროვა, ო. კიკვიძე.</b> ძელის ექსპერიმენტალური კვლევა თერმომექანიკური დატვირთვისას	45
<b>ლ. ბიწაძე.</b> თერმოდრეკადობის თეორიის ზოგიერთი ამოცანა ორგვარი ფოროვნობის მქონე სფეროსათვის	46
<b>ს. ბლიაძე, ვ. მიქაძე.</b> ფენოვანი სისტემების დინამიკური მოდელები	47
<b>ა. ბრეგვაძე, ი. სალინაძე.</b> ზღვის სანაპირო ზოლის დინამიკის რიცხვითი მოდელირება და მისი საინჟინრო ასპექტები	47
<b>გ. გიორგაძე, გ. ხიმშიაშვილი.</b> სახსრული მექანიზმების და კვადრატული ასახვების გეომეტრია	49
<b>გ. გოგაძე.</b> ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების სამუშაო ალტურვილობის კინემატიკური კვლევა	50
<b>ბ. გულუა.</b> ნორმირებულ მომენტთა მეთოდი არადამრეცი გარსებისათვის	51
<b>თ. დავითაშვილი, ზ. მოდებაძე.</b> კავკასიის ტერიტორიისთვის ამინდის საკვლევი საპროგნოზო მოდელის რეალიზაციის შესახებ	52
<b>თ. დავითაშვილი, გ. გუბელიძე, მ. შარიქაძე.</b> ერთი არაწრფივი კვაზისტაციონარული მათემატიკური მოდელის შესახებ განშტოების მქონე გაზსადენში გაუნვის ადგილმდებარეობის აღმოსაჩენად	53
<b>ა. დუმბაძე.</b> ცოცვადობის არაწრფივ თეორიაში გაანგარიშების ერთი დაზუსტებული მეთოდის შესახებ	54
<b>თ. გაშაყმაძე.</b> თერმოდინამიური დრეკადი გარსების მოდელირებისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენების შესახებ	54
<b>ნ. ზირაქაშვილი.</b> ბზარიანი ელიფსური სხეულის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლა	55
<b>გ. კაპანაძე, მ. ნარმანია.</b> დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი ამოცანის შესახებ მრავალკუთხა ხერხელის მქონე წრიული არისათვის	56

<b>რ. კახიძე.</b> ფირფიტის ტიპის მრავალფენიანი კონსტრუქციების სიმტკიცე საფრენ აპარატებში	57
<b>დ. კვარაცხელია, დ. დემეტრაშვილი.</b> შავი ზღვის შერეული ფენის თავისებურებების რიცხვითი კვლევა საქართველოს სანაპირო ზონისათვის	58
<b>ვ. კირცხალია.</b> მასის უწყვეტობის განზოგადოებული განტოლება და მისი შედეგები	59
<b>ფ. კობიაშვილი.</b> ელექტრომაგნიტური ტალღის გაბნევა T-ს მაგვარ სამკაპას რეზონატორულ ნაწილში მოთავსებულ ცილინდრზე, როდესაც მისი აღზნება ხდება სხვადასხვა მხრიდან	60
<b>ა. კორძაძე, დ. დემეტრაშვილი.</b> აღმოსავლეთ შავი ზღვის პროგნოზული სისტემა: მიმდინარე მდგომარეობა და პერსპექტივები	61
<b>ს. კუკუჯანოვი.</b> წინასწარ დაძაბული, დრეკად შემავსებლიანი ცილინდრულ ფორმასთან მიახლოებული ბრუნვითი გარსების თერმორხეგები	63
<b>მ. ლოსაბერიძე, დ. ყიფიანი.</b> ორთოტროპულ ნახევარსიბრტყეში სოლის მუდმივი სინქარით ჩაწნევა	63
<b>თ. მეუნარჯია.</b> ი. ვეკუას მეთოდის განზოგადება ფიზიკურად და გეომეტრიულად არაწრფივი და არადამრეცი გარსებისათვის	65
<b>რ. მიხელსონი, ს. ხომერიკი, მ. ლოსაბერიძე, დ. ხომერიკი, გ. შატბერაშვილი.</b> აფეთქებითი ენერჯის გამოყენებით ქვის ბლოკების მოპოვების თეორიული საფუძვლები	66
<b>დ. ნატროშვილი.</b> ტალღათა გაბნევა არაერთგვაროვანი ანიზოტროპული წინაღობის მიერ: სასაზღვრო-სივრცული განტოლებების მეთოდი	67
<b>გ. ნოზაძე.</b> მრავალკუთხა ფირფიტების დრეკადობის თეორიის ამოცანის ზღვრული გადასვლის სასაზღვრო პირობების მოდელირება სახსრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით	68
<b>ა. პაპუკაშვილი, თ. დავითაშვილი, ზ. გაშაყმაძე.</b> ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულისთვის დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა კოლოკაციის მეთოდით	69
<b>დ. პატარაია, ე. წოწერია, გ. ფურცელაძე, რ. მისიურაძე.</b> რთული გავრცობილი კონფიგურაციის მყარი დეფორმირებადი ტანის მოდელირება და გაანგარიშება დისკრეტული წარმოდგენის საფუძველზე	71

<b>ს. ტეფნაძე, გ. ყიფიანი.</b> საავიაციო უმაღლესი განათლება საქართველოში	72
<b>თ. ღონღაძე.</b> თავისუფალდინებადი მიკროჰესები	73
<b>გ. ყიფიანი, ვ. მიქაძე.</b> საფრენ აპარატებში არარეგულარულობის მქონე კონსტრუქციების მდგრადობა	73
<b>გ. ყიფიანი, ა. გეგუჩაძე.</b> რგოლურ ფრთაზე ამწევი ძალის ფორმირების სპეციფიკა	74
<b>ლ. შაფაქიძე.</b> გადასვლები ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითბოგამტარი სითხის ტეილორ-დინის დინებაში	76
<b>ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე.</b> წანაცვლებითი ქარის გავლენა დიდმასშტაბიანი უღს მოდების მიერ ზონარული დინებების გენერაციაზე	76
<b>ნ. ჩინჩალაძე.</b> ბიოფილმი რომელსაც უკავია თხელი პრიზმული არეები	78
<b>შ. წეროძე, მ. ნიკოლაძე.</b> ტრანსფორმირებადი კოსმოსური რეფლექტორის მექანიკური სისტემის თეორიული კვლევა	79
<b>ზ. წიკლაური.</b> იტერაციული მეთოდი ტიმოშენკოს ტიპის დინამიური ძელისათვის	80
<b>ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია.</b> გრიგალების კვლევის ერთიანი მიდგომა გიორგი ანბურჯანიას წიგნში “არაწრფივი გრიგალური სტრუქტურებისა და გრიგალური ტურბულენტობის თეორორგანიზება დისპერსიულ გარემოში”	81
<b>გ. ჯაიანი.</b> ზოგიერთი მიღებული შედეგი და აქტივობა	82
<b>რ. ჯანჯღავა.</b> ბინარული ნარევისგან შედგენილი ფირფიტების დრეკადი წონასწორობის განტოლებების მიღება მიმდევრობითი გაწარმოების მეთოდით	83
<b>ლ. ჯიქიძე, გ. ცუცქირიძე.</b> უსასრულო ფოროვანი ფირფიტის გამტარი სითხის დამცეში ნაკადით ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით ცვლადი გამოყოფის სინქარისა და ელექტროგამტარებლობის შემთხვევაში	84

The selection and presentation of material and opinion expressed in this publication are the sole responsibility of the authors concerned.

**Technical editorial board:** M. Tevdoradze  
M. Sharikadze

**Cover Designer:** S. Chaduneli

ტექნიკური სარედაქციო კოლეგია: მ. თევდორაძე  
მ. შარიქაძე

გარეკანი შესრულებულია სოფო ჩადუნელის მიერ

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი  
0144 თბილისი, ქეთევან წამებულის, 16

Ketevan Tsamebuli Tbilisi 0144  
Tel (+995 32) 277 52 78  
Facebook.com/ssu.edu.ge  
[www.ssu.edu.ge](http://www.ssu.edu.ge)